საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №1/400

ქ. თელავი

08.08 2019 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ქართულ ენაში მომზადების პროგრამებზე 2019-2020 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის გრაფიკისა და საგამოცდო ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის-წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 აგვისტოს №15 სხდომის ოქმისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (08/08/2019წ; N1029409) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წელი (ბაკალავრიატში, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე) დაიწყოს 2019 წლის 30 სექტემბერს და დასრულდეს 2020 წლის 6 ივლისს:

- **სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა.I სემესტრი დაიწყოს 2019 წლის 30 სექტემბერს და დასრულდეს 2020 წლის 7 თებერვალს;

ბ. II სემესტრი დაიწყოს 2020 წლის 24 თებერვალს და დასრულდეს 2020 წლის 6 ივლისს;

გ. პირველი სემესტრის სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2019 წლის 2 სექტემბრიდან და დასრულდეს 2019 წლის 26 სექტემბერს. ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაგვიანებით გავლა შესაძლებელია კანონმდებლობის ფარგლებში;

დ. სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2019 წლის 2 სექტემბერს და დასრულდეს 2019 წლის 11 ოქტომბერს.

- **სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:**

ა) ზამთრის სესიები დაიწყოს 2020 წლის13 იანვარს და დასრულდეს 2020 წლის 24 იანვარს.

ა)[1] დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2020 წლის 24 იანვრიდან 2020 წლის 3 თებერვლის ჩათვლით;

ბ)ზაფხულის სესიები დაიწყოს 2020 წლის 8 ივნისიდან და დასრულდეს 2020 წლის 19 ივნისს;

ბ)[1]დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2020 წლის 19 ივნისიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით;

- **არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2020 წლის 8 თებერვლიდან და დასრულდეს 2020 წლის 23 თებერვალს;

2. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;
3. სწავლა დაიწყოს 10:00 საათზე;
4. 2019-2020 სასწავლო წელი დასრულდეს 2020 წლის 6 ივლისს;
5. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (თ. გიორგაძე) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის და სამსახურებისათვის;

7. სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ა.მოსიაშვილი);
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე:
/რექტორის მ/შ:/ალექსანდრე მოსიაშვილი/